

ქ. ლანჩხუთი

7 ივნისი.2013 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – ზვიად აფხაზავა.

სხდომას ეწვებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მომავლის ლანჩხუთის“ თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული ლანჩხუთის“ თავმჯდომარე, მარინე თურნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, მაკა კვიციანი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, გელა ქურიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, მერაბ წილოსანი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხვალაძე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ნინო ძიმიგური, თანაშემწე, დონარა დოლიძე, საკრებულოს აპარატის საოქმო და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, მათა კეკელიძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, ზაზა ურუშაძე, გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ზენაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მათა აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მაგალი კუნჭულია, გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის თანაშემწე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მაკა სულაბერიძე, მედიის წარმომადგენლები.

დღის პროექტით გათვალისწინებული საკითხების დამტკიცებამდე სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ აღნიშნა, რომ მ/წ 7 ივნისი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებულია გლოვის დღედ, ვინაიდან მ/წ 6 ივნისს ავღანეთში, ჰერმანდის პროვინციაში ქართველი სამხედროების დისლოკაციის ადგილზე განხორციელდა ტერაქტი, რის შედეგად დაიღუპა 7 სამხედრო მოსამსახურე და დაიჭრა - 9. მან სამძიმარი გამოუცხადა დაღუპულთა ოჯახებს და საკრებულოს წევრებს სთხოვა წუთიერი დუმილით პატივი მიაგონ დაღუპულთა ხსოვნას.

დღის წესრიგის პროექტის პირველ საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ აღნიშნა, რომ საკრებულოს რეგლამენტის 53-ე მუხლის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სხდომის წარმართვის უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს. ამდენად იგი არ არის უფლებამოსილი დამტკიცდეს დღის წესრიგის პირველ საკითხზე მომხსენებლად და დააყენა წინადადება აღნიშნულ საკითხზე მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ილო გვარჯალაძემ დააყენა წინადადება დღის წესრიგის პროექტს დამატებოდა შემდეგი საკითხები:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 17 მაისის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

2) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

3) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

4) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივანების, შესახვევების, ჩიხების, (მოედნების, სკვერების, ბულვარებისათვის) სახელწოდების მინიჭების,

ნუმერაციისა და მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 სექტემბრის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი ცვლილების გათვალისწინებით

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ზ. აფხაზავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 10 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 7 სექტემბრის N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მ. აფხაზავა/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 5 აპრილის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 17 მაისის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივანების, შესახვევების, ჩიხების, (მოედნების, სკვერების, ბულვარებისათვის) სახელწოდების მინიჭების, ნუმერაციისა და მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 სექტემბრის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

10. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით დეპუტატების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით.

მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, პაატა ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 50-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად საკრებულოს სამუშაო გეგმა დგება კვარტლების მიხედვით. საკრებულოს ყოველი კვარტლის ბოლო მორიგ სხდომაზე შეიტანება საკითხი მომდევნო კვარტლის სამუშაო გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ. მისივე განმარტებით საკრებულოს სამუშაო გეგმა განხილულ იქნა საკრებულოს ბიუროს მ/წ 31 მაისის სხდომაზე (ოქმი N10), სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საკითხის საკრებულოს მორიგი სხდომის (7 ივნისი.2013 წელი) დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ აღნიშნა, რომ ვინაიდან საკრებულოს რეგლამენტი არ კრძალავს წლიური გეგმის დამტკიცებას, მან საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დააყენა წინადადება საკრებულოს წლიური სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე, რაც არ იქნა გაზიარებული ბიუროს წევრთა უმრავლესობის მიერ.

მანვე აღნიშნა, რომ ხვნა-თესვის ჩატარების აგროვადების გათვალისწინებით მიზანშეწონილია ინფორმაცია ხვნა-თესვის შედეგების შესახებ საკრებულოს სხდომაზე მოსმენილ იქნას ივლისის თვეში ნაცვალდ აგვისტოსა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით დეპუტატების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 17 დეპუტატი, წინააღმდეგი ერთი დეპუტატი-დავით წულაძე. დეპუტატი მარინე თურნავა სხდომას არ ესწრებოდა.

მიღებულ იქნა განკარგულება N59 (07.06.2013 წელი).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 10 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის

შესახებ“ საქართველოს მთავრობის 17/05/2013 წლის N466 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 838408 ლარი, რომელიც უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, როგორც შემოსავლის ისე ხარჯვით ნაწილში. მანვე განმარტა, რომ „აჯანყებული გურულის“ ძეგლის მონტაჟისათვის განსაზღვრულია 1300 ლარი, რომელიც დაემატება გამგეობის კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსებას და ბიუჯეტში მოხდება მუხლიდან მუხლში თანხის გადატანა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიმართ დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N60 (07.06.2013 წელი).

დღის წესრიგის მესამე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 7 სექტემბრის N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მაია აფხაზავამ. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის N466 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 838408 ლარი. დამტკიცებული ობიექტები დაჯგუფებული იქნა კლასიფიკატორის კოდების შესაბამისად. დაჯგუფების შედეგად მიღებული შესყიდვის ობიექტების ჯამური ღირებულებები ასახულია სპეციალურ დანართში. განკარგულების შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, თვითმმართველ ერთეულებს უფლება მიეცათ სოფლის პროგრამებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სინამდვილეში, სოფლის პროგრამით განსახორციელებელი თითოეული პროექტის შესრულების სურვილს გამოთქვამს რამდენიმე დაინტერესებული პირი, ხოლო მათგან კონკრეტული შემსრულებლის შერჩევა სირთულეს წარმოადგენს, ამასთან, საზოგადოებაში გაჩნდება ეჭვი მუნიციპალიტეტის მიერ შემსრულებლების ტენდენციურად და მიკერძოებით შერჩევის თაობაზე, რაც სოფლის პროგრამის წარმატებით განხორციელების შემთხვევაშიც კი არ გამოიწვევს სათანადო ეფექტს. ტენდერის ჩატარებით აგრეთვე შესაძლებელია მიღებული იქნას გარკვეული ეკონომია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის გამგეობა შემოდის წინადადებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ობიექტები შესყიდული იქნას ტენდერის ფორმით.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, პაატა ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს რეგლამენტის 28-ე

მუხლის მეშვიდე პუნქტის შესაბამისად მ/წ 5 ივნისს მოწვეულ იქნა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიების გაერთიანებული სხდომა, სადაც განხილულ იქნა ზემოთაღნიშნული განკარგულების პროექტი. გაერთიანებული კომისიის სხდომამ ხანგრძლივი დებატების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება: სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ობიექტები ტენდერის ფორმით შესყიდვის ნაცვლად, შესყიდულ იქნას გამარტივებული შესყიდვის ფორმით. **(მომხრე - საფინანსო საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის 3 წევრი, წინააღმდეგი ერთი - მარინე თურნავა. მომხრე - ინფრასტრუქტურის კომისიის 7 წევრი, წინააღმდეგი არცერთი).**

ასევე პაატა ფირცხალაიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო საქართველოს მთავრობის მ/წ 17 მაისის N466 განკარგულება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, რომლის მესამე პუნქტში აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოს შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულებმა სახელმწიფო შესყიდვები განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის ფორმით.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ წილოსანმა გაანალიზა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ობიექტების გამარტივებული შესყიდვის ფორმით ჩატარების უპირატესობა. მას მიაჩნია, რომ პროექტების განხორციელება ერთ პირთან მოლაპარაკებით უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, სოფელს მიეცემა შესაძლებლობა მთლიანად აითვისოს მისთვის გამოყოფილი თანხა დამატებითი ღირებულების ჩათვლით და შესაძლებელი იქნება სამუშაოების ეფექტურად ჩატარებაზე ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლის გაძლიერება.

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის, მერაბ წილოსანის შეკითხვასთან დაკავშირებით ტენდერის ჩატარების ხანგრძლივობის თაობაზე, გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, მათა აფხაზავამ განმარტა, რომ გამარტივებული ელექტრონული ტენდერით ნაწილი ობიექტების შესყიდვა ხორციელდება სამი დღის ვადაში, ხოლო ნაწილი ობიექტებისა შესყიდული იქნება ელექტრონული ტენდერით 20 დღის ვადაში.

ფრაქცია „რეალური თვითმმართველობის“ თავმჯდომარემ, დავით წულაძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია მოხდეს სამუშაოების დიფერენცირება, მაღალბიუჯეტიანი პროექტების შესყიდვა განხორციელდეს ტენდერის გზით, ხოლო მცირე ბიუჯეტიანი ობიექტები შესყიდულ იქნას გამარტივებული შესყიდვების ფორმით.

დეპუტატი ლევან ჩხაიძე კატეგორიული წინააღმდეგია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ობიექტების გამარტივებული შესყიდვის ფორმით ჩატარების, ვინაიდან მისი აზრით გასული წლის გამოცდილებიდან გამომდინარე ასეთი ფორმით ჩატარებული

სამუშაოების გარკვეული ნაწილი არის შესრულებული უხარისხოდ და არასრულყოფილად.

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, ზაზა ურუშაძემ მხარს უჭერს წინადადებას სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ობიექტების ტენდერის ფორმით შესყიდვას. იგი თვლის, რომ მართალია შესყიდვის ორივე ფორმას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მაგრამ ტენდერის ფორმით შესყიდვა უზრუნველყოფს სამუშაოების შესრულების გამჭვირვალებას, მაღალ ხარისხს და კორუფციის მინიმუმამდე დაყვანას. მას მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტის სოფლებში ძნელად მოიძებნება ობიექტების გამარტივებული შესყიდვის ფორმით შემსრულებლები, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან შესაბამისი ტექნიკით. ამასთანავე უკვე ძალზედ ბევრია სამუშაოთა წარმოების მსურველთა რიცხვი და რთული იქნება რომელიმე მათგანისათვის გარკვეული უპირატესობის მინიჭება.

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, ზაზა ურუშაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ გამარტივებული შესყიდვის ფორმით დამტკიცების შემთხვევაში, იგი იხსნის პასუხისმგებლობას და აყენებს წინადადებას საკრებულომ დამოუკიდებლად უზრუნველყოს ინდივიდუალურ შემსრულებლებთან სათანადო ხელშეკრულების გაფორმება.

ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, მკაკვირკველია მხარს უჭერს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ობიექტების შესყიდვას გამარტივებული წესით, მაგრამ ამასთანავე ეთანხმება გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, ზაზა ურუშაძის ხედვას ობიექტების ტენდერის ფორმით შესყიდვის თაობაზე მისი გამჭვირვალების უპირატესობის გამო.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ უპირატესობა მიანიჭა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ობიექტების ტენდერის ფორმით შესყიდვას, თუმცა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში რომელიღაც რგოლმა უნდა აიღოს პოლიტიკური პასუხისმგებლობა მუნიციპალიტეტისათვის დ.დ.გ. თანხის დაკარგვის თაობაზე. მას მიაჩნია, რომ საკითხი ტენდერების ჩატარების თაობაზე არ არის სრულყოფილად მომზადებული და დააყენა წინადადება, როგორც გამგეობაში, ასევე საკრებულოს შესაბამის კომისიებში მოხდეს განკარგულების პროექტის დამატებითი განხილვა და შესწავლა საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში დაუყონებლივ იქნას მოწვეული საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. საკრებულოს რეგლამენტისა და გამგეობის დებულებიდან გამომდინარე მან არაკანონზომიერად მიიჩნია გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, ზაზა ურუშაძის განცხადება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ გამარტივებული შესყიდვის ფორმით დამტკიცების შემთხვევაში პასუხისმგებლობის მოხსნის თაობაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს მთავრობის მ/წ 17 მაისის N466 განკარგულება .

სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ზემოთაღნიშნული განკარგულების პროექტი დაუბრუნდეს გამგეობას და საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმული წინადადებებისა და

შენიშვნების გათვალისწინებით უზრუნველყოს პროექტის ხელახალი გადამუშავება და უმოკლეს ვადაში მისი წარმოდგენა საკრებულოსათვის.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით დეპუტატების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა სხდომის გადაწყვეტილებას ზემოთაღნიშნული განკარგულების პროექტის გამგეობისათვის დაბრუნების თაობაზე.

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის , „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის N46 ბრძანებულებისა და „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის N47 ბრძანებულების შესაბამისად უნდა დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულება, რომლის შესაბამისი დადგენილების მისაღებად უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტი საკრებულოს დეპუტატების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N61 (07. 06.2013 წელი).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 5 აპრილის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან შიდა აუდიტის სამსახურში შექმნილია ზედამხედველობის განყოფილება, ამდენად ცვლილების მიზანია გაზიარებულ იქნას სამხარეო ადმინისტრაციის

ზედამხედველობის სამსახურის შენიშვნა და შიდა აუდიტის სამსახურს ეწოდოს შიდა აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახური.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება შესაბამისი დადგენილების მისაღებად, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტი საკრებულოს დეპუტატების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულების N62 (07. 06.2013 წელი).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 17 მაისის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ შიდა აუდიტის სამსახურის სახელწოდების შეცვლამ განაპირობა ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების დოკუმენტების ტიპური ფორმების დასახელებაში, რის გამოც იგი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების ტიპური ფორმები“. აღნიშნულის გათვალისწინებით შესაბამისი დადგენილების მისაღებად უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტი საკრებულოს დეპუტატების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულების N63 (07. 06.2013 წელი).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზირებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის პროცედურებს ახორციელებდა გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახური. ვინაიდან ზემოთაღნიშნული სამსახურის ბაზაზე ამჟამად შექმნილია ქონების მართვის სამსახური. ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტი საკრებულოს დეპუტატების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულების N64 (07.06.2013 წელი).

დღის წესრიგის მერვე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან შიდა აუდიტის სამსახურს სათაურში დამატა სიტყვა „ზედამხედველობა“, აუცილებელია შესაბამისი ცვლილება შევიდეს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებაშიც. შესაბამისი ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N65 (07.06.2013 წელი).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივანების, შესახვევების, ჩიხების, (მოედნების, სკვერების, ბულვარებისათვის) სახელწოდების მინიჭების, ნუმერაციისა და მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 სექტემბრის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის

შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა რამდენიმე ახალი სამსახური და ასევე რამდენიმე სამსახურს შეეცვალა სახელწოდება. ვინაიდან დასკვნას ობიექტისათვის ნომრის მინიჭების თაობაზე ამზადებდა გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის, არქიტექტურისა და საპროექტო სამსახური, რომელსაც გამგეობის ახალი სტრუქტურის თანახმად ეწოდა გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური. შესაბამისი ნორმატიული აქტის მისაღებად უნდა დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N66 (07.06.2013 წელი).

სხვადასხვა

1. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ილო გვარჯალაძემ გააკეთა ინფორმაცია დეპუტატ ზორბეგ ხუბუნაიშვილის მიერ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დატოვებისა და ფრაქცია „რეალური თვითმმართველობაში“ გაწევრიანების თაობაზე, რაც საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა ცნობის სახით.

2. გამგებლის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელმა, ნუგზარ ცინცაძემ გააკეთა ინფორმაცია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის საგაზაფხულო პროგრამის მცირე მიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის შესრულების შესახებ. მან აღნიშნა, რომ არსებული მდგომარეობით მიღებულია 12493 კომბინირებული და 13606 ნომინალური ბარათები, რომლებიც ჩაბარებულია მიწათმოსარგებლებზე. ბარათის მიღების გარეშე დარჩენილია 750 ბენეფიციარი, რომლებიც იმყოფებოდნენ პრობლემურ სიებში. ამჟამად მთლიანად მოხსნილია 4475 (99%) ჰა მიწის ფართობი, დათესილია 3422 (71%) ჰა. შეფერხებები გამოწვეულ იყო კლიმატური პირობების გამოც.

დადისკვა მიმდინარეობს შ.პ.ს „მექანიზატორის“ 22 დისკებიანი აგრეგატით, პარალელურად მინდვრის სამუშაოებს ასრულებს ადგილობრივი მექანიზატორების 6 ჯგუფი, რომლებშიც გაერთიანებულია 40 ტრაქტორი. ძირითადად თესვის კამპანიას ასრულებს ადგილობრივი მექანიზატორები, ასევე შ.პ.ს. „მექანიზატორის“ ტექნიკა მიწათმოსარგებლებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მისივე განმარტებით ხვნა-თესვის კამპანიის დამთავრება იგეგმება უახლოეს დღეებში.

დეპუტატმა, ლევან ჩხაიძემ აღნიშნა, რომ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები მიმდინარეობდა ორგანიზებულად, მაგრამ იგრძნობოდა სათესების ნაკლებობა, რაზედაც გამგებლის თანაშემწე, ნუგზარ ცინცაძემ განმარტა, რომ ანალოგიური ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის აუცილებელია რაიონში შეიქმნას ე.წ. „სოფტექნიკის“

მსგავსი ორგანიზაცია, რის შესახებაც საკითხი უკვე დაყენებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე.

გამგებლის თანაშემწის, ნუგზარ ცინცაძის ინფორმაციასთან დაკავშირებით საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გოჩა ჯანაშიამ აღნიშნა, რომ მართალია ნიგოთის ტერიტორიულ ერთეულში მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები მიმდინარეობდა მცირედი შეფერხებებით, მაგრამ გამგეობის აქტიური ჩარევით მდგომარეობა დარეგულირებულია. მანვე საკრებულოს სხდომას გააცნო ფრაქცია „რეალური თვითმმართველობის“ თავმჯდომარის, დავით წულაძის მიერ საკრებულოს მ/წ 31 მაისის ბიუროს სხდომაზე დაყენებული წინადადება სოფლის რწმუნებულებისა და თანაშემწეების პრემირებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის საგაზაფხულო პროგრამის შესაბამისად მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარებისათვის.

ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, მაკა კვიციანიამ აღნიშნა, რომ გურიის რეგიონიდან მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარების კუთხით ყველაზე კარგი მდგომარეობაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, რამიც, ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებთან ერთად, უნდა აღინიშნოს გამგებლის თანაშემწის, ნუგზარ ცინცაძის დამსახურება. ამდენად მან მიზანშეწონილად მიიჩნია პრემიალური ანაზღაურება გაიცეს ნუგზარ ცინცაძეზეც.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე	ზვიად აფხაზავა
საკრებულოს აპარატის უფროსი:	ნინო ძიძიგური
თანაშემწე:	დონარა დოლიძე
საკრებულოს საოქმო და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი :	მაია კეკელიძე